№ 35. თებერვლის 15, პარასკევი. 1866—1885 თებერვლის 15, პარასკევი. № 35

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრულ გვერდსა ექვსასჯერ გადადი 25 მანათი; პირველი 50 მან. რედაქტორისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის აგებულობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს აგტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

აღროებისა

ფასი თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მან. და 50 კაპ.

სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი და 50 კაპ.

წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

რედაქციისაგან.

ეემცა მრავალჯერ გამოგვიცხადებია, რომ ავტორის სახელისა და გვარის ხელ-მოუწერელს წერილს რედაქცია ვერ მიიღებს გაზეთში დასაბეჭდად, მაგრამ მრავალნი დღესაც არ ასრულებენ ამ ჩვენს მოთხოვნილებას. ამის გამო იძულებულნი ვართ ერთხელ კიდევ გავახსენოთ ჩვენს უსახელო კორესპონდენტებს, რომ რედაქციის საცნობლად მაინც, თავიანთ წერილებს უთუოდ უნდა მოაწერონ სრული სახელი, გვარი და აგრეთვე აღნიშნონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი. (3—2)

უმორჩილესად ვსთხოვ თავად-აზნაურობას თბილისის გუბერნიისასა, მობრძანდენ ამ თებერვლის 17-ს 11 საათზედ დილით განსაკუთრებულს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზედ, იმ საგნის განსახილველად. თუ რა გვარად უნდა ვიდღესასწაულოთ ასის წლის შესრულება იმ დროიდამ, რა დღესაც იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ უბრძა გრამოტა რუსეთის თავად-აზნაურობასა.

გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება შესდგება ჩემს სადგურში, მიხეილოვის ქუჩაზედ, ზარაფოვისეულ სახლებში.

თბილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლი გენერალ-მაიორი

(3—2) თ-დი დავით სუმბათოვი

Librairie Chaverdoff
GRAND SUCCÈS!
LA PEAU DE LÉOPARD
d'après
CHOTA ROUSTHAVÉLI
par
Achas. Borin.
(10—1)

ქართული თეატრი წარსულს სეზონში

თბილისი, თებერვლის 15-ს

იქნება ორი თვე, რაც ერთ-ერთს «დროების» ნომერში ჩვენა ვსთქვით, რომ თუ ქართული თეატრს სათეატრო საქმეში დახელოვნებული მოთავე არა ჰყავს, რომელსაც შეეძლოს პიესებისა და არტისტების ღირსების აწონ-დაწონა და ამის შესაფერად მოქცევა,—თეატრი რიგიანად ვერ წავა და საზოგადოებას, მიზიდვის მაგიერად, დააფთხობსო.

ჩვენის აზრის წარმოთქმის შემდეგ ქართული წარმოდგენები თუმცა იმართებოდა, მაგრამ ჩვენს გაზეთს ხმა არ ამოუღია მათზედ და ამ ხმის ამოუღებლობისათვის საყვედურით მოგვმართა როგორც გაზეთმა «ავეკაზმა», ისე ჟურნალმა «ივერიამ». პირველმა პირდაპირ გამოსთქვა ეს საყვედური და «ივერიის» რეკენზენტმა მიხვევ-მოხვევით.

ჩვენ ძალიან მოხარულნი ვიქნებოდით, რომ რაცა ვსთქვით ამ საგანზედ, არ გამართლებულიყო და წარსულის სეზონის ანტრეპრენიორს, რომელიც შესაფერ მოთავედ არ მიგვაჩნდა, თეატრი ღირსეულ გზაზედ დაეყენებინა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი აზრი გამართლდა და უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ისეთი წარმოდგენები იმართებოდა, რომლებზედაც ძალიანაც რომ ვცდილიყავით, ქებას ვერ ვიტყოდით. ჩვენ დაჩუმება ვარჩიეთ; ვარჩიეთ, რომ ხმა არ ამოგველო და ამით მიზეზი არ მიგვეცა ზოგიერთებისათვის ეთქვათ, «დროებამ» თეატრიდამ ხალხს აფიხობსო. ვარჩიეთ გაჩუმება და ველოდით სეზონის დასასრულს, რომ უფრო თამამად წარმოგვეთქვა ჩვენი აზრი და გვეჩვენებინა, თუ როგორ გაგეიმართლდა წინასწარ-მეტყველება, რომელსაც, დაეუმატებთ, დიდი წინასწარმეტყველობის ნიჭი არ ეჭირვებოდა.

ამკარაა ყველასათვის, ვისაც კი, ცოტაც არის, თეატრის საქმე ესმის, რომ მარტო ბევრი ხალხის სიარული იმის საბუთი არ არის,—თეატრი კარგად მიდიოდეს და თავის დანიშნულებას ასრულებდეს. თუნდა ის პუბლიკა, რომელიც ყველიერში არწრუნისეული თეატრის ზალას ავსებდა, ნახევარზე ძალად მოგროვებული არა ყოფილიყო, მაინც მარტო პუბლიკის სიმრავლე ზემოხსენებულ საბუთად არ გამოდგებოდა. პუბლიკა ხშირად უფრო ბევრი დადის ცირკში, ვიდრე თეატრში და ჭიდაობას ხომ აუარებელი ხალხი ეტანება, მაგრამ ვერც ცირკსა და ვერც ჭიდაობას თეატრს ვერ დაეუძახებთ. რომელიმე ანტრეპრენიორის მოღვაწეობა იმითი უნდა ფასდებოდეს, თუ როგორ დაეხმარა იგი ახალი პიესების შეძენას, როგორს სიამოვნებასა გრძნობდა თეატრში გრძნობა-გაღვიძებული საზოგადოება და თეატრი მართლა იყო თუ არა ცხოვრების სარკე, რომელშიაც საზოგადოება ჰკითხულობდა თავის ავსა და კარგს. სამწუხაროდ, წარსულ სე-

«დროების» ფელეტონი, თებერ. 14-ს

ტურა ძაიხოსროს

(ისტორიული ლეგენდა*).

მეფე ერეკლეს დროს ქახეთში, ზაჩნაძიანთ გვარში, ყოფილა გამოჩენილი და მხნე ვაჟკაცი ძაიხოსრო. საზოგადოდ საქართველოს და კერძოდ ქახეთს მოსენება არა ჰქონდა ლეკებისაგან, რომელნიც განსაკუთრებით მაშინ აყავყავდებოდენ ხოლმე, როცა ქახეთს სხვა მტერიც შემოესეოდა. ძაიხოსრო ზაჩნაძემ არა ერთხელ ისახელა თავი ლეკებთან ბრძოლაში.

ერთხელ ერეკლემ ძაიხოსროს წინამძღოლობით გაგზავნა ქახელები ლეკების წინააღმდეგ, როცა მათ გალმა სოფლები აეკლოთ და ალაზნის პირას დაბანაკებულიყვნენ.

ამ ბრძოლაში ძაიხოსრომ გაითქვა ვაჟკაცობის სახელი მით, რომ მცირედის რაზმით თავზარი დასცა ლეკების დიდ-ძალს ჯარს. იგი არ დაკმაყოფილდა მათი განდევნით ქახეთიდამ, გაჰყვა დამარცხებულ ლეკებს უკან და მათი სოფლები გააოხრა და გამარჯვებული უკან დაბრუნდა. ამ გამარჯვებამ ისეთი შიშის ზარი დასცა ლეკებს, რომ ლეკის დედები თავიანთ მტირალს შვილებს ძაიხოსროს სახელით აჩუმებდენ: «დაჩუმდი, შვილო, თორემ ტურა ძაიხოსრო მოვალ». ძაიხოსროს მეტი სახელი „ტურა“ თვით ლეკებმა დაარქვეს, რადგანაც ომში ისე გაძვრებ-გამოძვრებოდა ხოლმე, როგორც ტურა და ყველა შეფერხებულთ ვაჟკაცურის სიტყვით და მტერზედ წინ-და-წინ მისვლით ამხნევებდა. ხშირად ერთს იმის სახელს გამარჯვებული მტერი უკან დაუბრუნებია.

ამისთანა სახელოვანმა ვაჟკაცმა ერთხელ ისეთი საქმე ჩაიდინა, რომ მის სახელს დღესაც ზიზღით იგონებს ხალხი.

ერთს კვირა დღეს მისი მეულლე წირვაზედ იდგა და მის წინ გლეხი მარტიშვილის რძალი დგომილიყო. ძაიხოსროს ცოლს ეთქვა მისთვის:

— ჩამომეცალე, შენი ადგილი იცოდე; ვერა მხედავ ვინ გიდგიავარ უკანაო?

— ჩამოგეცალო, რა შენი ყმის ცოლი ვარო!— მპასუხნა მისთვის მარტაშვილის რძალს.

ძაიხოსროს მეულლეს ეს, რასაკვირველია, სწყენოდა და შინ მისვლის უმალ თავის ქმრისთვის ეთქვა.

— მაშ, ძაიხოსრო მოგიკვლეს თუ ამ ერთს კვირაზეის დედა-კაცი ხონჩით თავზე არ მოგაყენოო, ეთქვა ძაიხოსროს და რამდენიმე კაცით გაჭრილიყო ლეკებისკენ, გადასულიყო დაღისტანში, აეღელვებინა დიდოელები და დასხმოდა ალაზნის ბალმა-მხარს. მთელი ერთი კვირა თურმე ძაიხოსრო ლეკებით აოხრებდა ბალმა-მხარს.

მეფეს რომ ეს გაეგო, მაშინადვე გაეგზავნა მასთან კაცი, რომ შეეტყო, რა მიზეზით განდგომილიყო იგი და რა სურდა მიეცა მისთვის მეფეს. ოღონდ-კი ლეკები ბალმა-მხრიდამ გაედევნა და შერიგებოდა. ძაიხოსროს შემოეთვალა მეფისთვის: მარტაშვილები მომეცი ყმებად და შეგირიგდებიო. მეფეს მისი თხოვნა შეესრულებინა და მიეცა მარტაშვილები ყმებად. ძაიხოსროსაც გაერეკა ლეკები ბალმა-მხრიდან და დაბრუნებულიყო შინ. ასე სძაგელის მოქმედებით შეესრულებინა ძაიხოსროს თავის მეულლის სურვილი.

წერილი ბათუმიდან

ოსმალეთის მთავრობის მფლობელობის დროს ბათუმშიც ყოფილა დაწესებული ქალაქის თვით-მმართველობა. ერთხელ ამ დაწესებულების საბჭოში ასტყდა თურმე სჯა იმაზე, რომ ბათუმში სასმელი წყალი არ არისო. ბაასმა დიდ-ხანს გასტანა. ბოლოს წევრნი თვით-მმართველობისა დაადგნენ იმ აზრს, რომ მდინარე ჭოროხიდგან გამოიყვანონ არხით წყალი ბათუმში. რამდენიმე წევრი თვით-მმართველობისა არ ეთანხმებოდენ ამ გარდაწყვეტილებას. ჭოროხი ბათუმის ლიმანს (ნავთ-სადგურს) წაგვილამაესო, ამბობდენ თურმე მო-

*) ეს ლეგენდა, როგორც მკითხველიც შეატყობს, ძლიერ შემოკლებით დარჩენილა ალბში.

ზონში ვერ ველირსენით ვერც ერთსა, ვერც მეორეს და ვერც მესამეს.

ეს სამივ საგანი ერთი მეორეზედ არის დამოკიდებული. თუ დასი რიგიანი არტისტებისაგან შესდგება, თუ ეს უკანასკნელნი სინიდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ხელოვნების წინაშე, მაშინ საზოგადოება მართლა ესტეტიურს სიამოვნებასა გრძნობს და პიესების დამწერნი, გადმომკეთებელნი და მთარგმნელნი ხალისით ეხმარებიან რეპერტუარის გამდიდრებას. თუ ერთი ამ პირობათაგანი არ არის შესრულებული, მეორე და მესამეც შეუსრულებელი რჩება. ესტეტიურს სიამოვნებაზედ ლაპარაკმა იქნება უქმად ჩაგვიაროს, რადგან ერთი საუკეთესო არტისტის თამაშობაში გრძნობს ნამდვილს ესტეტიურს სიამოვნებას და მეორეს იქნება ამაზედ მეტად აქლემების ჭიდაობა მოსწონდეს. სჯობს, მაშ, ჩვენის აზრის დასამტკიცებლად ისეთი საბუთი ავიღოთ, რომელშიაც ეჭვს ვერავინ ვერ შემოიტანს და რომლის შესახებაც აზრის სხვა-და-სხვაობა შეუძლებელია.

წარსულ სეზონში, რომ თეატრი ნამდვილს გზაზედა მდგარიყო, ჩვენი სათეატრო რეპერტუარი ორი-სამი რიგიანი პიესით მაინც გამდიდრდებოდა. თუ ახალი პიესები არსად იყო და რაც იყო, ყოვლად უმნიშვნელო, ეს ახალი საბუთი იქნება იმისი, რომ თეატრის გამგებელს არ ესმოდა ის საქმე, რომლისათვისაც ხელი მოეკიდნა და ვერ ჰბადავდა საზოგადოებაში ხალისს ახალი პიესების წერისა, თუ გადმოთარგმნისას.

მაგრამ იქნება ზოგთა დაგვწამონ ჩვენის აზრისადმი მიდგომა და ფაქტების გადასხვაფერება. ამ ზოგთათვის ჩვენ დავასახელებთ იმისთანა წერილს, რომელიც დიდის თანაგრძნობით ეპყრობა წარსული სეზონის ანტრეპრენიორს და მის ანტრეპრიზას და ფაქტებს იქიდამ მოვიყვანთ. ეს წერილი ,,ივერიის'' რეცენზიაა.

რეცენზენტი ამბობს რომ «მთელის წლის მიყურების შემდეგ თეატრმა სიცოცხლე გამოიჩინა, მიძინებულმა გამოიღვიძა და იმედიანად შევიხედეთ მის დარბაზშიო; გული შეგვიტოკდა, გრძნობა გაგვიახლდა... საზოგადოებამ მომეტებული ყურადღება მიაქცია; მწერლობაც თვალ-ყურს ადევნებდა, მეტადრე რუსულიო».

ახლა ისიც მოვისმინოთ, თუ რამ „აუტოკა გული, რამ განუახლა გრძნობა“ პატივცემულ რეცენზენტს: ,,ამ სეზონში უმეტესი ნაწილი პიესებისა ძველი დაწერილები და რამდენჯერმე ნათამაშები წარმოადგინესო... და ეს ნაკლულევანება... რასაკვირველია... საზოგადოებას ვერ მიიზიდავდაო. ახალ პიესებში პირველი ადგილი ბ. ავქს. ცაგარლის «ხანუმას» ეკუთვნისო. (ეტყობა რეცენზენტმა წელს პირველად დაიწყო თეატრში სიარული და იმიტომ უტოკდებოდა გული, თორემ ეცოდინებოდა, რომ ,,ხანუმა'' ბარე ორი წლის პიესაა)... მეორე პიესა ,,მკითხავი''... სუსტი გამოდგა... დანარჩენმა ახალმა ნაწერმა სრულებით შეუმჩნევლად ჩაიარა, რადგანაც მათ საყმაწვილო ვარჯიშობა უნდა ვუწოდოთ'' და სხვ. და სხვ.

მეორე ადგილს რეცენზენტი ამბობს, რომ წარმოდგენებს ურექისორობა ეტყობოდათო, თუმცა ,,იმას საყვედურად ვერ ჩავუთვლით ანტრეპრენიორს ან ეხლანდელ რეჟისორსაო, რადგან მათ სურდათ თურმე უკეთესი რეჟისორი, მაგრამ ვერ იშოვესო (სურვილი ანგარიშში მოსატანი არ არის, ბ. რეცენზენტო. თქვენც იქნება, გსურდათ თქვენი რეცენზიით ქვეყანა გაგეკვირვებინათ, მაგრამ სურვილი სურვილადვე დაგრჩათ).

მაშ ასე: თუმცა პიესები ან დაძველებული იყვნენ, ან ბავშვურნი, თუმცა წარმოდგენებს ურეჟისორობა ეტყობოდათ, მაგრამ რეცენზენტს მაინც გრძნობა განახლებია და გული ასტოკებია. ჩვენის აზრით, თვით ეს რეცენზია, რომელიც სამეგობროდ არის დაწერილი და სამტრო-კი გამოდგა, ამტკიცებს წარსული ანტრეპრიზის მეტის-მეტ სისუსტეს და გამოუსადეგრობას. სურვილი იქნება დიდი ჰქონდა ბ. ანტრეპრენიორს,—არ ვიცით, ჩვენ გულში არავის ვუზივართ,—მაგრამ ნაყოფი-კი სრულიად ფუჭი გამოდგა. თუ გვინდა, რომ ჩვენმა ,,მიძინებულმა თეატრმა ნამდვილად გამოიღვიძოს და იმედიანად შევიხედოთ მის დარბაზში'', მართლა შეგნებულმა პირმა უნდა მოჰკიდოს ხელი, ან შეგნებული პირი აიყვანოს ხელმძღვანელად. მაშინ და მხოლოდ მაშინ იქნება გრძნობაც გაგვიახლდეს, გულიც აგვიტოკდეს და აგვიტოკდეს არა ისე უმიზეზოდ, როგორც ,,ივერიის'' პატივცემულ რეცენზენტს დაძველებული ან ბავშვური პიესების ნახვით ,,ასტოკებია''.

შინაური ქრონიკა

— ჩვენ გავიგეთ, რომ დიდ-მარხვის მეოთხე კვირას ტფილისში აპირობს ჩამოსვლას რუსეთის სახელ-განთქმული პიანისტი და კომპოზიტორი ბ-ნი რუბენშტეინი, ავტორი სხვათა შორის, ოპერის დემონისა.

— ახალ ვერის ხიდის ჩასავალს გვერდზედ მეტის მეტი ღრმა და დაქანებული ხევი აქვს. მართალია, ამ ხევის პირზედ ქვის ბოძებია დასმული და მავთული გაბმული, მაგრამ ბოძები ისე შორი-შორს სდგას, რომ ბავშვებს ადვილად შეუძლიანთ ამ ხევში გადაცვივნა. აუცილებლად საჭიროა ამ საგანს მიაქციონ ყურადღება და მავთულის ალაგას ბადე ან მესერი გააკეთონ, თორემ შეიძლება არა ერთი უბედურება მოხდეს, მეტადრე მაშინ, როცა გაზაფხული დადგება და ამ ხიდზედ მრავალი ხალხი დაიწყებს სეირნობას.

— ბორიდან გვწერენ, რომ ამ თვის 12-დამ იქ დაწყებულა ქალაქის რჩევისათვის ხმოსნებისა და თავის არჩევა. პირველი ორ დღეს ალურჩევიათ ორი ხარისხის ხმოსნები და მესამესი თოთხმეტს უნდა ამოერჩიათო. ქალაქის ძველს თავს ჯერ-ჯერობით მეტოქედ არავინ გამოსჩენია, და ეს მით უფრო საკვირველია, თუ გნებავთ სამწუხაროც, რომ ამ ძველ თავს ქართული სრულიად არ ესმისო,—და როგორ უნდა იმოქმედოს ქალაქის სასარგებლოდ იმ ხმოსნებთან, რომელთაც ქართულის მეტი სხვა ენა არ იციანო?! „ბორო, ქართლის შუაგულო, მეთაურო ქართლისაო“,—სწერდა პოეტი; ვის დავუჯეროთ: პოეტსა თუ ფაქტის ლაღადებას, რომ ქართლის შუაგულად და მეთაურად წოდებულს ქალაქში ქ. თავმა ქართული ენა არ იცის?!...

— მომავალს აპრილს ტფილისში უნდა მოხდეს საფილოქსერო კრება, რომელსაც დაესწრებიან რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებიდან მოსული სპეციალისტები. კრება ყოველ-მხრივ განიხილავს, თუ რა ღონის-ძიება უნდა იქმნას მიღებული ფილოქსერის წინააღმდეგ. (,,ნოვ. ობოზ.'').

— გაზ. ,,ნოვოე ობოზრ.'' დაბეჭდილია ვიღაც მოსილოვის წერილი, რომელშიაც ავტორი ამბობს: ნოტარიუსმა მამიკონიანცმა ქალაქის საკრედიტო სა-

---

წინააღმდეგენი. ამ დროს წამოდგება ერთი ჰალარა წვერიანთაგანი და მეინახეთა მიმართავს ამ სიტყვებით: თუ მართლა ჭოროხის არხს შეეძლო ლიმანის ლამით ავსება, ნეტავი აქამდის გვეფიქრნა ამ არხის გამოყვანა, აქამდის სულ ამოიმსებოდა ლიმანი—მაშინ ბათუმს თავიდგან ასცილდებოდა მთელი ქვეყნის ყურადღება, რომელიც ამ ლიმანზე არის მიპყრობილი. თუ ეს ლიმანი არ აივსო ლამით, მაშინ იგი ჩვენ შეგვჭამს: ან ერთ სახელმწიფოს ჩავუვარდებით ხელში, ან მეორეს. არიქა, ბიჭებო, ჩქარა არხი, რომ ლიმანი წაილამოს!?. რასაკვირველია, მოხუცს არ დაუჯერებდნენ, არ დაეთანხმებოდნენ ამ ახირებულს წინადადებაზე.

სწორედ ამ გვარადვე ეწინასწარმეტყველებინა ერთს მოხუცებულს მაჰმადიან ქართველს, როცა უთხრეს მას, რომ რუსეთის მთავრობას განკარგულება მოუხდენია ოსმალეთის მთავრობისაგან დაიბაროს დავთარი, რომ ყველას თავისი საკუთრება ჩაბარდეს იმ გვარადვე, როგორც მათ აქეთ შეძენილი ოსმალეთის მთავრობისაგანაო. ,,ჩინჭარ-კანაფიც ამოსულაო იმ სადგურში, სადაც ის დავთარი ინახება, რომ ის დავთარი ჩვენ ბათუმის მაზრაში არა ენახოთო'',—უთქვამს მოხუცებულს: ისეთ საქმეს დაგვმართებსო ის დავთარი, რომ ჩვენვე დაგვაკარგვინებსო ჭკუის ,,დავთარს''. არც ეხლა ათხოვეს ამ მოხუცს ყური.

ორივე წინასწარმეტყველობა აუხდათ მესხებს. აი, ზოგჯერ სადამდის მივა წინ-დახედულობა! როგორც ფატალისტები, ამ გვარს წინ-დახედულობას თავისებურად ხსნიან, მაგრამ ასე იქნება ახსნილი, თუ ისე—ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

ხუმრობის გარეშე, მართლა რომ დიდად საინტერესოა, რამდენად გაარკვია ამ დავთარმა ბათუმის მაზრაში აწეწილ-დაწეწილი უფლება საკუთრებისა?

ამ კითხვის პასუხად მინდა მოვიყვანო აქ ორი სურათი:

ერთი ბათუმის მოხელეთაგანი ყიდულობს ბათუმშივე მცხოვრებლის ერთი მაჰმადიანის ქვრივი დედა-კაცისაგან მამულს. ხვედრი ფასის ნახევარს ქვრივს წინადვე დაუთვლის მყიდველი; დანარჩენზე მისცემს ბარათსა.

გაივლის დრო და ხანი; ქვრივი მოითხოვს ფულსა. ქვრივმა რა იცოდა, რომ მყიდველი იმ მამულს ცოლის სახელზე დაამტკიცებდა და მის ვალს ყინულზე დასწერდა. ქვრივი დანარჩენს ფულებს ველარ იღებს. გამოჩნდება ერთი ამ გვარ საქმეებში დახელოვნებული ალიეფენდი, შეიტანს ბათუმის სამსჯავროში საჩივარს, რომ ქვრივისა კი არ არის ის გაყიდული მამული, ქვრივის ობლებისაა. საქმე ამოაჩენს, რომ ის მამული ,,დავთრით'' შვილებისაა, ,,ბათუმურად'' კი ქვრივისა. ბათუმის მოსამართლე ამოაჩენს, რომ ყველა წინასწარ სიგელები, რომელნიც აღებულნი უნდა იყვნენ საადგილ-მამულო კომისიიდგან, უკანონოდ მიცემულნი ყოფილან. ამ ყალბ სიგელებზე შემდგარი ნასყიდობის წერილნი და თვით ნასყიდობის სიგელი (купчая крѣпость) გააუქმა მოსამართლემ.

ბათუმში ორი არსება სცხოვრობს. ერთი სიძეა, სიძე ბედნიერი სიმამრით. მეორე სიმამრია, ესეც ბედნიერი სიძით. ბედნიერი სიძე ბედნიერის სიმამრისა ამ ათის წლის წინად, სწავლა-მეცნიერების დამთავრების შემდეგ, ერთ დაწესებულებაში მსახურობდა. ბოლოს გახდა პირის ფარეშად ერთს მსუქან ბეგთან. აქედგან მობძანდა ბათუმში სხვათა ბედნიერების მაძებართა შორის, შევიდა სამსახურში ერთს დაწესებულებაში და მოიკალათა. ბოლოს იგდო ხელში ერთი რაღაც ,,დავთარი''. საითაც დაუწრუწუნა დავთარს, იქით შეათამაშა. იმდენი აცოცა, სინამ ბედნიერი სიძე არ შეიქნებოდა. დავთარი ოსმალურს ენაზეა დაწერილი—მთელს დაწესებულებაში ამ ვაჟბატონის მეტმა არავინ იცის, რა სწერია ამ ყბად აღებულ დავთარში.

ბარდაქცევა ჩვენი გმირისა დავთრის მეჭახრაკედ და ბედნიერ სიძედ გახდომა ერთი იყო. დღეს სიმამრი მდიდარი კაცია, გაევროპიელობას აპირობს, მაგრამ რომ იცოდეს, თუ რა მოუვიდა ყვა-ყოჩალიას, როცა იმან ფარშევანგობა მოინდომა, მაშინ ბედნიერი სიმამრი თავის წრეს არ დაშორდებოდა...

ზოგადოებისთვის მისცემ ხელ-შეკრულობის შრომაქტის დაწერაში თექვსმეტი მანათი გამომართვა და წიგნში კი მხოლოდ ორი შაურის მიტემაზე მომაწერინა სელიო. შეკრებილ ტნობებიდან გავიგე, რომ სხვა ნოტარიუსებს ამისთანავე შრომისათვის მხოლოდ ორი ან სამი მანეთი მიაქვთო.

= „ნოვ. ობზრ“. სიტყვით მოამავალ მარტში თბილისს უნდა ჩამოვიდეს ბ. სალოვი, უფროსი დირექტორი მთელი რუსეთის რკინის გზების დეპარტამენტისა.

უცხოეთი

სუდანის ომი და გორდონ-ფაშა.

ინგლისის მმართებლობას ბევრი რამ საეალალო შეხვდა ამ უკანასკნელს ხანებში. ზედი-ზედ ისეთი მოელენანი მიჰყენენ, რომელთაც მთელის ინგლისს ყურადღება მიიპყრეს, ფეხზე დააყენეს მთელი საზოგადოება. ამ გვარ მოელენათა ეკუთვნის: გახშირებულნი აფეთქებანი შიგ ლონდონში, მოდინამიტეთა მთავარ-სარდლის, ოლონოვან როსას დაჭრა რევოლვერით ლუკილა დოდლეისაგან, რუსების გაწევა ზერათისაკენ და ზოგი სხვაც... მაგრამ ყველა ეს ჩამოთვლილი მოელენანი არად-გახადა, დაავიწყა ინგლისს ხართუმის აღებისა და ბორდონის მოკვლის ამბავმა. ზარ-დამცემი ზედ-მოქმედება იქონია ამ ცნობამ ინგლისის საზოგადოებაზე. ტელეგრამა—ტელეგრამაზე მოდიოდა და ახალი ცნობები მოჰქონდა არაბების მტარვალობაზე, თუ რა რიგ უწყალოდ ამოეჟლიტათ ამათ მცხოვრებნი სიმაგრე ხართუმისა. დღეს თვით ლორდის უელსლეისაგან მოსული ცნობა უკუ-აქცევს იმ ეჭვს, რომლითაც ინგლისის საზოგადოების ერთი ნაწილი და ზოგი გაზეთებიც ბორდონის მოკვლის ამბავს უყურებდენ. ბენ. უელსლეი იწერება ქორტიდამ: „აქ მოვიდა კაცი, რომელიც თხუთმეტი დღეა, რაც ხართუმიდამ გამოსულა. მან გადმოგვცა, რომ იანვრის 26, განთიადისას ღალატის საშუალებით შეესიენ ხართუმს ინსურგენტებიო. ზარაგ-ფაშამ გაულო მათ ალაყაფის კარებიო. ამტყდარა თუ არა სროლა, ეს კაცი მაშინვე გაქცეულა გუბერნატორის სახლისაკენ; აქ დახვედრია მას ბორდონი, რომელსაც თან ხლებია მაჰმად-მუსტაფა-ბეი და ოციოდე კაეასი. აი, ამ მცირე რაზმში პირველმა ტყვიამ არაბებისაგან გამოსროლილმა ბორდონს გაუგმირა გული. აქვე მოჰკლეს ორი ბეი. ავსტრიის ელჩი, ბანსალი საკუთარს სახლში მოჰკლეს ამავე დღეს. საბერძნეთის ელჩი, ნიკოლა და ერთი ექიმი ტყვედ წაიყვანეს.

ბორდონის სიკვდილი კიდევ შემდეგის გარემოებით მტკიცდება. პოლკოვნიკს ბრაკენბერის, რომელმაც ინგლისელების რაზმში მოკლულის გენერალის ერლის ადგილი დაიჭირა, ძერბაკენთან შეტაკების შემდეგ უპოვნია ქვემოდ-მოყვანილი უსტარი არაბულს ენაზე ბერბერის ემირისაგან მეგობრისადმი მიწერილი:

„სახელითა ალჰახისათა, და სხვ. ბაუწყებთ, რომ დღეს, ნაშუადღევის ლოცვის შემდეგ, ჩვენ მივიღეთ უსტარი ერთგულის აბდულ-მაჰმადისაგან, რომლითაც გვაცნობებს რაბის თვის 9-ს, ორშაბათ დღეს, 1302 წლისა ხართუმის აღებას ამ სახით:

მაჰდიმ დალოცა ოვისი დერვიშები, რაზმნი გაემართნენ სიმაგრეებისაკენ და მეოთხედის საათის შემდეგ შეევიდენ ხართუმში. მოლალატე ბორდონი მოკლულ იქმნა და მისი გემები მოტაცებული. ალჰახი იყოს შემწე ჩვენი!

მადლობდეთ და ადიდებდეთ ალაჰსა მისის უზომო მოწყალეობისათვის“.

— ბენ. ბორდონი (ბორდონ ფაშა) დაიბადა 1833 წელს ქ. ვულვიჩში. 1852 წ. მან დაასრულა ვულვიჩის (ინგლისი) სამხედრო აკადემია და ლეიტენანტის ჩინით გამოვიდა იქიდამ. ჯერ კიდე ყირიმის ომში ისახელა მან თავი. 1860 წ. ბორდონი იბრძოდა ჩინეთის ომში და აქაც ჩინეთის სატახტო ქალაქის პეკინის აღების დროს დიდი გამოცდილობა და სიმამაცე გამოიჩინა. მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ ბორდონი დარჩა ჩინეთში, ამ ქვეყნის დაახლოებით გასაცნობად. 1862 წ. ბორდონმა გაილაშქრა ჩინეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ტეიპინგელებზე. აჯანყებულთა კინალამ პეკინამდის მოაღწიეს. ჩინეთის იმპერატრიცამ, რაკი დაინახა, რომ ვერას გახდება აჯანყებულებთან, მიმართა თხოვნით ინგლისის მმართებლობას, გაუგზავნოს მას ერთი გამოცდილი მხედარი. რიგი ბორდონსა ხვდა. ამან იკისრა წინამძღოლობა ჩინეთის ჯარისა. ჯერ კიდე ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე ბორდონი ყოველს შეტაკების დროს შუა ცეცხლში ტრიალებდა და შესანიშნავად აძხნევებდა ხელ-ქვეით მხედართ; მიუხედველად ამისა, ბორდონი არ დაჭრილა ამ ომში. ესეთი ბედი მისი და თან ის აღუშფოთებელი გულ-გრილობა, რომლითაც ომში მოქმედებდა ბორდონი, ერთ-რიგად აკვირვებდა, აცეიფრებდა მისს მოყვარეთა და მტერთაც. ბორდონმა იმდენად იარაღით არა რამდენადაც სახელით დააცხრო ეს დიდი აჯანყება. იმპერატრიცამ უხვად დაასაჩუქრა იგი. მაგრამ ბორდონი საზოგადოდ ერიდებოდა ამ გვარს პატივის ცემათა და მოწყალებათ. რაც რამ მიიღო ჩინეთის იმპერატრიცისაგან, გაანაწილა თვის მხედართ შორის და ადრინდულადვე ღარიბად დაბრუნდა ინგლისში. 1877 წ. ინგლისის მმართებლობის ნება-რთვით ბორდონი შეევიდა ეგვიპტის სამსახურში. ჰედიემა გახადა იგი გენერალ-გუბერნატორად სრულიად სუდანისა. ეგვიპტისა და აბესინიის შუა მორიგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბორდონს. ბორდონი ბევრს ებრძოლა მონობით ვაჭრობას, მაგრამ ვერ მოასწრო ძირეულად ამოეფხვრა ეს სენი ბედუინთა შორის. ეს გარემოება უსიამოვნოდ დარჩა მას, ემდუროდა თვით თავის თავს და რა-კი ველარ აიტანა ასეთი მდგომარეობა, გაუშვა ხელიდამ სუდანის მართვა. ამის შემდეგ იმ დროის ინდოეთის ვიცე-კოროლმა, მარკიზ რიპონმა სთხოვა ბორდონს სეკრეტარის ადგილი დაეჭირა, რაზედაც ბორდონი დაუთანხმდა. მაგრამ მალე ეს თანამდებობაც დასტოვა ბორდონმა და ისევ სამხედრო საქმეს დაუბრუნდა. გასულის წლის დასაწყისში ბელგიის კოროლ ლეოპოლდმა დაიყოლია ბორდონი გამგზავრებულიყო კონგოში. ამ ხანებში მთელი ეგვიპტის რაზმი ბიქსა-ფაშის მეთაურობით დამარცხებულ იქმნა აჯანყებულ არაბებისაგან, რომელთაც სრულიად სუდანი ხელთ იგდეს. ამ გაჭირებულ მდგომარეობაში ქედივმა კიდევ ბორდონს მიმართა. გასულის წლის თებერვლის 7 ბორდონი და პოლკოვნიკი სტიუარტი გაემართნენ სუდანისაკენ და დღეს ერთიცა და მეორეც მაჰდის მსხვერპლნი შეიქმნენ.

წერილი რედაქტორთან

ბატონო რედიქტორო! გუშინდელ თქვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ქართული დრამატიული დასის აქტრისა ქ. ანდრონიკოვის წერილი, რომელშიაც ხსენებული აქტრისა ბრძანებს, რომ არ მითხოვნია იმისათვის მონაწილეობის მიღება ჩემს კონცერტში. დიდად ვწუხარ, რომ უიმისოთაც განხეთქილებით სავსე დასსა, როგორიც არის ჩვენი უსუსური ქარ. დრამ. დასი, ჩემის მიზეზით მიემატა კიდევ ერთი უკმაყოფილება. ქ. ანდრონიკოვისაგან გამტყუნება სრულებით უსაფუძვლო და უმიზეზოა, თუმც ჩემთვის აშკარაა რამ აიძულა ამ გვარ წერილზედ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თუ კიდევ როდისმე შემმთხვა უბედურება და მომინდა რომელსამე მოთამაშის დახმარების თხოვნა, მაშინ მაგისთანა წერილების ასაცილებლად იძულებული ვიქნები ყველა ენის გაზეთის საშუალებით გაუწყო ქვეყანას, რომ ვთხოვ ამა-და-ამ პირს მონაწილეობის მიღებას, ან არა და ნოტარიული ფორმით თანხმობა მივიღე, თორემ ზოგნი თავიანთგან მიცემულ სიტყვას გაზეთითაც-კი უარ-ჰყოფენ.

თქვენი პატივის-მცემელი

ვ. ლ. გუნია.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესადა გთხოვთ, ნება მომცეთ „დროების“ შემწეობით მივმართო მღვდელს ალ. ზედგინიძეს.

ამ რამდენიმე წლის წინად მ. ნიკოლოზ სამხარაძის თხოვნით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შესწირა ახალ-გორის სკოლას, როგორც საზოგადოების კანცელარიაში ქონებულის სიიდამა სჩანს, შემდეგი ნივთები: 10 ჰიგიენის მიხედვით გაკეთებული სტოლი მოსწავლეთათვის, 25 ცალი „დედაენა“, 15 „ბუნების კარი“, 12 ცალი გ. კალანდარაშვილის „სახელმძღვანელო“, 25—რ. ერისთავის „იგავ-არაკნი“, 15—ჯუღელის „დედანი“, 16—დაფა, 2—ნ. ბარათაშვილის ლექსები, 2—მოთხრობა „ბანჯგვლიანი ფუთიკარი“, 2—როსტომაშვილის „არითმეტიკა“, „ოფიცერ ცანდრ“, „ეკეფხვის-ტყაოსანი“, „სახარება“, „ბალადები“ და სხვა თითო-ოროლა სასწავლო ნივთები. სანამ ახალ-გორში იყო მამა სამხარაძე ამ ნივთებით სარგებლობდა და, როდესაც იგი გადაყვანილ-იქმნა სხვა სამრევლოში, ჩამოთვლილი ნივთები გადასცა სიით მღ. ალექსანდრე ზედგინიძეს, რომელიც მღ. სამხარაძის ადგილზე გადმოიყვანეს. ორიოდე თვე მღ. ზედგინიძეც სარგებლობდა ამ ნივთებით და მერმედ, ახალ-გორიდან რომ წავიდა, ხსენებული ნივთები, სტოლებს გარდა, თან გაიყოლა.

ეხლა ვსთხოვთ მღ. ზედგინიძეს დაგვიბრუნოს ჩამოთვლილი წიგნები, ნუ დაგვიკარგავს, ნუ მიითვისებს ქველ-მოქმედი საზოგადოების შემოწირულ ნივთებს. სკოლას ამით დიდი დაბრკოლება ეძლევა და არც საზოგადოებას დაურჩება სასიამოვნოდ მათი დაკარგვა. სრული იმედი გვაქვს მღ. ზედგინიძე ღირსეულად მოიქცევა და ამ თხოვნაზე პასუხს მოგვცემს.

ახალ-გორის სკოლის მასწავლებელი ს. გ.

თებერვლის 10-ს

1885 წელსა

ს. ახალ-გორი.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის საგენტოსი“)

თებერვლის 14-ს

ხარკოვი. თებერვლის 13-ს. ტაგანროგის ტამოჟნაში მოხდენილ ბოროტ-მოქმედების შესახებ დღეს ართმევენ ჩვენების მოწმებს და ბრალდებულთ ტამოჟნის წესებს გამოსარკვევად. ბრალდებულთ კუზოლევმა, ნიკოლოვმა და ტამოჟნის უწინდელმა გამგებელმა ნიკიტენკომ აჩვენეს, რომ ჩინოვნიკებისა და ყურის-მგდებელთ რიცხვი ტაგანროგის ტამოჟნაში საკმაო არ იყოვო; მადაზიები, რომლებშიაც ბაჟ-გადაუხდელი საქონელი ეწყო; ხშირად ვაჭრების ხელში იყვნენ და თვალ-ყურის მგდებელი არავინ იყოვო.

პეტერბურგი. ხმა ისმის, რომ მალე დაიწყებს მოქმედებას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული კომისია ნიკეგოროდის იარმეკის წესების გადასასინჯავად.

პარიჭი. პალატამ დანიშნა ტამოჟნის ბაჟი ევროპის გარეშედამ შემოტანილს ბერზედ სამი ფრანკი, ხოლო ევროპიდამ შემოტანილზედ ექვსი ფრანკი 60 სანტ. ყოველ ასკილოგრამზედ.

გუშინ ვაჭრობის მინისტრს რეგიეს, როდესაც პალატიდამ გამოდიოდა, ორჯელ შემოჭკრეს მუშტი; რეგიემ თავის უნებურად ორჯელ ამოჭკრა წიხლი, ისე, რომ მუშტის დამრტყმელი წაიქცა; ეს ეგანასკნელი დაატუსაღეს და აღმოჩნდა რეგიეს ნათესავი, რომე-

ლიც მას ფულისა და სამსახურის თხოვნით მოსვენებას არ აძლევდა.

ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც ტფილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 სასათამდინ. სხვებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საზირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრამიშევი ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა. ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა—	—1	გირ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—	—1	გ. 2½
მეორისა—	—1	გ. 2 კ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:		
პირველი ხარისხის	—1	გ. 4½
მეორისა—	—1	გ. 3 კ.
მესამისა—	—1	გ. 2½
ჯვარის-მამი პური:		
პირველი ხარის. ლავაში	1	გ. 4½
მეორის ხარის. ლავაში	1	გ. 3½
მესამისა—	—1	გ. 3 კ.
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხისა	—1	გ. 8 კ.
მეორისა—	—1	გ. 7 კ.
სუკი . . .	—1	გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი	—1	გ. 8 კ.
ღორის ხორცი.		
პირველის ხარისხისა	—1	გ. 8 კ.
მეორისა—	—1	გ. 7 კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
6 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

შოკოლადი

ს. სიუ და კო.

(Ц. 2542). (46—2)

ისყიდება

მეტად რიგიან ფასად **ქუთაისიდგან ექვს ვერსტზედ**, მახლობლად გელათის სტანციისა, ტყიბულის რკინის გზის გზაზედ **აგარაკი (დაჩა)**, ორ-ეტაჟიანი **ქვის სახლი**, ოთხი ხის შენობა და **ცხრა დესიატინაზედ მეტი** მიწა. იკითხოს **ქუთაისში**, გუსტავ გაბრიელის-ძეს მალევსკის. (3—3)

ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ორი ტომი, ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—8)

საგლობიუსო PATENT კალმები

ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისიეულს ქარვასლაში. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასეები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფუდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჭდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შოტკები, პირ-სახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—3)

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94 93, (92 სამუსიკო მაღაზიაა დანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

ჩვენი	ჩაი	1 მან.—კაპ.	ჩაის	სხვაგან	1	მან.	20	ღირებულს.
,,	,,	1 — 20 —	,,	,,	1	—	50	—
,,	,,	1 — 40 —	,,	,,	1	—	80	—
,,	იშვიათი	1 — 60 —	,,	,,	2	—	20	—
,,	ჩინეთის ყვავილი	1 — 80 —	,,	,,	2	—	50	—
,,	ჭუჩეჭუ	2 — ,, —	,,	,,	2	—	80	—
,,	ფენომენი	2 — 40 —	,,	,,	3	—	,,	—

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ქსსენციის კვაისი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფუდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—აი სეკრეტი ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის უზვეულებრივო სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქაღალდებისას, კრავოტებისას და სხვ.. (100—3)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და აძრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—92)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სპოტები თავის ტკივილის ასასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა